

ბიოგრაფია

(გიორგი კალანდარიშვილი)

მე, გიორგი სამსონის ძე კალანდარიშვილი, დავიბადე 1984 წლის 27 ივლისს ქ. ქუთაისში.

ვსწავლობდი ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის სკოლაში, რის შემდგომაც ბოლო 2 წელი ვსწავლე და 2001 წელს დავამთავრე ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა. სკოლის დასრულებისთანავე, იმავე წელს ჩავირიცხე აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 2005 წელს წარჩინებით დავამთავრე აღნიშნული უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და მომენიჭა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინგლისური ენის სპეციალისტის კვალიფიკაცია (ბაკალავრის ხარისხით). ასევე, ვსწავლობდი და 2006 წელს წარჩინებით დავამთავრე ქუთაისის იოანე პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია (მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხით).

2004 წელს სტაჟირება გავიარე იმერეთში სახელმწიფო რწმებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში. იმავე წელს რამდენიმე თვით გავემგზავრე დიდ ბრიტანეთში, საზაფხულო სამუშაო/სასწავლო პროექტის ფარგლებში.

2005-2008 წლებში ვმუშაობდი სააქციო საზოგადოებებში მარკეტინგისა და გაყიდვების მიმართულებით.

2008 წელს ჩავაბარე გამოცდა და მივიღე საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი, რის საფუძველზეც, კონკურსის წესით, დავინიშნე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსად. 1 წლის შემდეგ დავინიშნე ამავე უწყების იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსად. 2011 წელს, ცესკოში ჩამოყალიბდა საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის საბჭო და დავინიშნე აღნიშნული საბჭოს მდივნად.

2019 წელს დავინიშნე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსად. 2021 წელს უწყებაში ჩატარებული სტრუქტურული ცვლილებების საფუძველზე, დეპარტამენტს დაემატა შრომის უსაფრთხოების მიმართულება და შესაბამისად 2021 წლის 25 მაისიდან დავინიშნე ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე. ამასთანავე, 2021 წლის 8 აპრილიდან დღემდე, ვიკავებ საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას.

2018-2019 წლებში, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დაინერგა საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015. 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან დღემდე, წარმოვადგენ ხსენებული სტანდარტის შესაბამისად ცესკოს ხარისხის მენეჯერს და აღსანიშნავია, რომ ჩემი ამ პოზიციაზე მუშაობის პერიოდში, უწყებამ 2-ჯერ წარმატებით გაიარა საერთაშორისო ყოველწლიური საკონტროლო აუდიტი.

2019 წლიდან დღემდე ვარ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არსებული ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭოს წევრი.

